ცნობის ფურცელი

№ 1930 პარასკევი, 20 სექტემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1930

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

გავახსენებთ „ცნობის ფურცელ“-„მოამბის“ ხელის მომწერთ, რომ დააჩქარონ დარჩენილ ხვედრი ფულების შემოტანა.

განცხადება.

ტფილისის ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ამით აუწყებს ბ.ბ-თ ამომრჩეველთ, რომ ტფილისის ქალაქის საბჭოს **ხმოსნების არჩევნები** პირველ საარჩევნო ნაწილში დანიშნულია 1902 წლის 22 სექტემბრისათვის «ტფილისის სობრანიე»-ს საზაფხულო სადგომში, მიხეილის ქუჩაზე.

საარჩევნო კრებაში შესასვლელ ბილეთების მიღება გამგეობაში შეიძლება 21 სექტემბრამდე, ხოლო არჩევნების დღეს «ტფ. სობრანიე»-ს სადგომში დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1-მდე, რომელ საათის შემდეგაც აღარავის მისცემენ ნებას კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღოს.

(ნ. 3—2) ქალაქის თავის მოადგილე **მ. შესტაკოვი**

1-ლ. ოქტომბრიდან **გედევანიშვილის სავაჟმყოფოსთან არსდება მასსაჟისა და სამკურნალო გიმნასტიკის კურსები.** სასწავლებელი საგნები:

ანატომია ფიზიოლოგია;	ექიმები:	გ. ვ. სობოლევსკი ე. გ. ფეოდოროვი
მასსაჟის თეორია და ტეხნიკა პრაქტიკული მეცადინეობა	ექიმები:	ა. გ. მაღალაშვილი გ. ვ. სობოლევსკი

კურსებზე ქალებიცა და კაცებიც მიიღებიან. სწავლის ფასი (ოთხის თვის კურსი) 30 მანეთია. (0—10)

პანსიონი და სასწავლებელი
ა. გ. მირზაშვილისა

ელისაბედის ქუჩა № 25. ყმაწვილებს მიიღებენ 1-ლ ენკენისთვიდან. (10—3)

27 მიმდინარე სექტემბერს,

დილის 10 საათზე, ტფილისის საბჭოს დარბაზში გაიხსნება

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება

განსახილველად და გადასაწყვეტად შემდეგის საკითხებისა:

1) ბ. ტფილისის გუბერნატორის მოწერილობა მიმდინარე წლის 23 აგვისტოს თარიღით ბანკის მოგებათა განაწილების წეს-რიგის შესახებ;

2) ცნობა ბანკის დამფუძნებელთათვის ფულის დაბრუნების ახალის წესის შესახებ;

3) ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მოგებათა განაწილება;

4) ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთათვის **უმაღლესად** ნაბოძების 40 ათასი მანეთის მოხმარება;

5) ბანკის დამფუძნებელთა ფულიდან შემოწირულების დანიშვნა;

6) **მისი იმპერატორებითი უმაღლესობის** დიდის მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულის მფარველობის ქვეშ მყოფის ისტორიულ და თანამედროვე კოსტიუმების საერთაშორისო გამოფენის მთავარ კომისარის წერილი;

7) თავად-აზნაურთა სახლის მმართველობის თავმჯდომარის არჩევა;

8) შუამდგომლობის აღძვრა იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურთა მორიგი კრებები მარტის მაგიერ იანვარში ინიშნებოდეს.

ვაუწყებ ამას გუბერნიის თავად-აზნაურებს და ვსთხოვ მათ მობრძანდნენ საგანგებო კრებაზე.

(ნ. 3—3) **გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი.**

ტფილისის
კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჰიჰინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. ჰ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. გ. სობოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვგანაძისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). **ტელეფონი** № 474 (წლ.)

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

გულითად მადლობას ვუძღვნით მე და ჩემი ოჯახობა ყველა იმ პირთ, რომელთაც გამოგვიცხადეს მწუხარება ჩვენს უბედურებაში და პატივსცეს განსვენებულ ჩემ ძმას, **დიმიტრი ალექსანდრესძეს.**

ექიმი **დავით ალექსანდრეს ძე გედევანიშვილი.**

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450.(

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

ე ქ ი მ ი

ნ. ტ. მულინი

იღებს ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 11—1-დე. საღამოთი 4—6-მდე. სუდების ქუჩა, სახლი № 30.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ტფილისის სასულიერო სემინარიის მთავრობა ამით აცხადებს, რომ ის **გასცემს იჯარით ქვისა, აგურისა, სადურგლო და სხვა სამუშაოებს სემინარიის ახალი შენობისათვის;** განცხადებები მიიღებიან ამ სამუშაოებზე სამი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადებისა. იგივე მთავრობა მიიღებს განცხადებებს აგრეთვე სხვა-და-სხვა **მასალის ჩაბარებაზე, მაგალითად, ქვის, აგურისა კირის, ხის მასალებზე და სხვა მასალებზე.**

(3—406—3) **მღვდელი ეპ. ჯაოშვილი.**

ე ქ ი მ ი

დავით ალექსანდრეს ძე

გედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.

კიროჩნი ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ. (45—9)

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი.

(ტელეფონი № 617)

დღეს, პარასკევს, 20 სექტემბერს, ქხარკოვის დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

პიკოვაია დამა

ოპერა 3 მოქმედ. და 7 სურათ. მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქალბატონები: ზორინისა, არციბაშევისა, კარამზინა-ჟუკოვსკისა, დობჟანსკისა, სკორუპსკაია, გრინჩენკოსი; ბატონები: ბონაჩიჩი, სუნცოვი, სერგეევი, კაზიმირო, პეტროვი, ხარიტონი, სვობოდინი და სხვანი. **ბალეტი** გაიმართება ბალეტმეისტერის მენაბენის მიერ. **კოსტიუმები** და სხვა მოწყობილება საკუთარს საჭელოსნოში მზადდება. ახალი **დეკორაციები** დახატულია მხატვარის ბ. ნოვაკისაგან. **კაპელმეისტერი** ლ. პ. შტეინბერგი. **ხორმეისტერი** ა. გ. ზვერჟანსკი. **ადმინისტრატორი** მ. დურანდინი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა ღიაა დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.

ანონსი: ხვალ, შაბათს, 21 სექტემბერს წარმოდგენილი იქნება **„დემონი“**.

კვირას, 22 სექტემბერს, გაიმართება პირველი იაფ-ფასიანი საოპერო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება **„ფაუსტი“**.

სახელოვნო ნაწილის გამგე **ივ. ფითოევი.**

(ნ. 0—4)

საყურადღებო მოსაზრება

—

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება შეუდგა თავის მოსაზრებათა გამოთქმას სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა შესახებ.

როგორც იციან მკითხველებმა, ამ საჭიროებათა გამოკვლევა დაევალა განსაკუთრებულ ადგილობრივ კომიტეტებს, მაგრამ კერძოთ სამეურნეო საზოგადოებათ, ერობათ და სხვა დაწესებულებათაც ნება მიეცა თავიანთი მოსაზრებანი თავისუფლად გამოსთქვან და სადაც ჯერ არს ყველა საჭიროებათა შესახებ მოხსენება-შუამდგომლობანი წარუდგინონ. ამ ნებით ისარგებლა ჩვენმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამაც და გუშინ-წინ კიდეც შეუდგა საგანგებო საბჭოს მიერ წარმოგზავნილ პროგრამის გადასინჯვას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოების პირველი ნაბიჯი ამ საქმეში დიდის ყურადღების ღირსია. ჩვენს გაზეთში გუშინ დაიბეჭდა ანგარიში პირველის სხდომისა, რომლიდანაც სჩანს, რომ საზოგადოების წევრნი საჭირო შეგნებულებით მოჰკიდებიან დავალებულ საქმეს და ამიტომ მათი შრომა უნაყოფოდ არ ჩაივლის.

პირველი საკითხი, რომელიც აღიძრა სხდომაზე, იყო—სამეურნეო ცოდნათა გავრცელება. სხდომის თავმჯდომარემ, ბ. სულთან-კრიმ-გირეიმ, თავიდანვე საკითხი მეტად მარჯვე ნიადაგზე დააყენა. მან განაცხადა, რომ სასოფლო-სამეურნეო შესაფერ ცოდნათა გასავრცელებლად ხალხში სახალხო სკოლას აქვსო დიდი მნიშვნელობა, მაგრამ ამ როლის ასასრულებლად საჭიროა თვით სკოლა იყოს კარგად მოწყობილიო.

ამ მოსაზრების ჭეშმარიტებას უარს ვერავინ ვერ ჰყოფს. სახალხო სკოლაში, სადაც გლეხობის მომავალი თაობა იზრდება, უნდა დამზადდეს ნიადაგი ყოველ-გვარ ახალის შესათვისებლად. თუ ხალხში ელემენტალური ცოდნა მაინც არ გავრცელდა, თუ ხალხის გონების ჰორიზონტი საზოგადო ცოდნით ცოტათი მაინც არ გაფართოვდა, ისე სპეციალური ცოდნა ვერ გავრცელდება და სასურველ ნაყოფს ვერ მოიტანს. რამდენი რამ არის ახალი მიწათ-მოქმედების საქმეში, მაგრამ გლეხობაში არ ვრცელდება, თუმცა ბევრიც სცადეს ხან ინსტრუქტორების გაგზავნით, ხან წიგნაკების დარიგებით, ხან მაჩვენებელ სანიმუშო მუშაობის გამართვით და სხვა. ყოველი ახალი მოგონება თუ ღონისძიება აღუსრულებლად რჩება ხალხის უმეცრების მეოხებით და, პირიქით, სადაც ხალხი უფრო განვითარებულია, იქ ახალი რეფორმა ადვილად მყარდება და ვრცელდება.

მაგრამ სახალხო სკოლა მაშინ აღასრულებს თავის დიად კულტურულ დანიშნულებას, როდესაც რიგიანად არის დაყენებული. ესეც უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომელიც ამასთანავე გვეუბნება, რომ ცუდი სკოლა სრულიადაც რომ არ იყოს უმჯობესიაო.

რა-კი სკოლის ავ-კარგიანობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, სამეურნეო საზოგადოების კრებას არ შეეძლო გვერდი აეხვია ერთ უმთავრეს საკითხისათვის, რომელიც ქვა-კუთხედს შეადგენს ჩვენებურ სკოლების საქმეში: ჩვენ ვამბობთ დედა-ენის მნიშვნელობისა და როლის შესახებ. მართლაც, ჯერ თავმჯდომარემ, პატივცემულმა სულთან-კრიმ-გირეიმ, და შემდეგ ყველა დამსწრეთ ერთხმად აღიარეს, რომ სახალხო სკოლაში სწავლება რიგიანად მხოლოდ მაშინ სწარმოებსო, როდესაც ცოდნის გადაცემა დედა-ენის საშუალებით ხდებაო.

„Es ist eine alte Geschichte“ ან, ჩვენებურად რომ ვთქვათ, „არ ახალია, ძველია“!.. ნამდვილი პედაგოგი და მასთან ყოველი შეგნებული ადამიანი დარწმუნებულია,

რომ ხალხში ელემენტალურ ცოდნათა გავრცელება თუ არ დედა-ენის საშუალებით—ყოვლად შეუძლებელია. ეს აკსიომაა, ესე იგი იმგვარი ჭეშმარიტება, რომელსაც დამტკიცება აღარ უნდა. მაგრამ რას იზამ: დღეს განმარტება სჭირია იმ უტყუარს ფაქტსაც-კი რომ შიდა რუსეთის სახალხო სკოლებშიაც, სადაც ყოველივე საგანს ბავშვისათვის გასაგებად (ესე იგი დედაენაზე) ასწავლიან, ვერ ახერხებენ ცოდნის რიგიანად გადაცემასა და სახალხო სკოლის კურს დამთავრებულთა შორის ხშირია წერა-კითხვის უცოდინარების რეციდივი!

სამწუხაროდ, ყველა ამას განმარტება სჭირია და ამიტომ სრულის თანაგრძნობის ღირსია ჩვენი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, რომ შესაფერის დროით ისარგებლა და ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი აღძრა. უნდა გვახსოვდეს, რომ რაც გინდა კარგი ღონისძიებანი გამოსძებნონ განსაკუთრებულ კომიტეტებმა სოფლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სასურველ განზრახვას ვერ ავასრულებთ, თუ ხალხის გონების განვითარებისთვის ნამდვილი საშუალებანი არ იქმნა მიღებული; ხოლო უმთავრესი ადგილი ამ საშუალებათა შორის რიგიანად მოწყობილ სკოლას უნდა დაეთმოს.

ვუსურვებთ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ გუშინწინ ასე მოხდენილად აღძრული საკითხი, ჯეროვანის სავსებით და კარგად შეასრულოს. ვუსურვებთ აგრეთვე, რომ გუშინწინ დაწყებული მუშაობა მეტად საგულისხმიერო დავალების ალსასრულებლად, მარჯვედ იქმნას გაგრძელებული. სამეურნეო საზოგადოება ჩვენში, ბევრ შემთხვევაში, ერობის როლს ასრულებს და თუ მან არა, რომელ სხვა საზოგადო დაწესებულებამ უნდა მიაწოდოს უმაღლეს მთავრობას ნამდვილი ცნობები ჩვენის სოფლის მდგომარეობის შესახებ?! ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ხსენებულ საზოგადოებისათვის დღეს დავალებული საქმე უფრო ადვილი ალსასრულებელია, ვიდრე სხვა ჩვენებურ დაწესებულებისათვის. ეს იმიტომ, რომ კავკასიის სასოფლო-სამეურნიო საზოგადოებას ბევრი სხვა-და სხვა საკითხი და ადგილობრივი საჭიროება განუხილავს თავთავის დროზე: ერობის დაწესება, მცირე კრედიტის საქმის მოწესრიგება, კოოპერატიულ საზოგადოებათა მოწყობა, სასოფლო-სამეურნეო სწავლა-განათლების გავრცელება და ბევრი სხვა უსაჭიროესი საქმე გაუსინჯავს და შეუსწავლია ჩვენს საზოგადოებას და იმედია ამ ჟამად გამოიჩენს ენერგიას, რათა თავის ცოდნითა და გამოცდილებით ქვეყანას სამსახური გაუწიოს.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. გაზეთები იუწყებიან,—ფინანსთა მინისტრმა რუვიემ 1903 წლის ბიუჯეტის უმთავრესი ნაწილი შეიმუშავა კიდეც და პარლამენტის სესიის დაწყებისათანავე პალატას წარუდგენს. ოღონდ ესაა, ჯერ ზოგიერთი ფორმალური წესი უნდა შესრულდეს. ამიტომ ბიუჯეტის განხილვა ნოემბრის (ახ. სტ.) დამლევზე ადრე ვერ დაიწყება. ბიუჯეტში, ალბად, შემოსავლის გადასახადი იქნება შეტანილი, საშინაო არყის გამოხდის შეღავათიანი წესებიც შეცვლილი იქმნება; ამის გამო ბიუჯეტის განხილვა ხანგრძლივ კამათს გამოიწვევს; ასე, რომ საეჭვოა პალატამ დროზე დაამტკიცოს ბიუჯეტი და მთავრობა ისევ იძულებული იქნება რამდენისამე თვის კრედიტი სთხოვოს პარლამენტს.

◆ ამბობენ: რაკი საზღვარ-გარედ გატანილ შაქრის პრემიის მოსპობა განიზრახეს, ამიტომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, სთხოვოს პარლამენტს, რომ შაქრის გადასახადსაც 40 მილ. ფრ. დააკლოსო.

◆ დენი კოშენი აცხადებს „ჟურნალ დე დება“-ში: თითონ კომბმა გაჰკიცხა პელტანის ნალაპარაკევი, ამიტომ მეც აღარ დავეკითხები მთავრობას პელტანის ნათქვამის თაობაზეო.

ინგლისი. 3 ოქტომბერს პარლამენტი შეიკრიბება სასკოლო ბილის განსახილველად. ეროვნულ ლიბერალურ ფედერაციის ალმასრულებელ კომიტეტს გადაუწყვეტია 2 ოქტომბერს ლონდონში ფედერაციის საზოგადო კომიტეტის განსაკუთრებული კრება მოახდინოს. კრებას ეხლანდელ საქმეების და ნამეტნავად სასკოლო პროექტის თაობაზე ექნება სჯა. ალმასრულებელ კომიტეტს ცირკულიარი დაუწერია ამ საქმეზე და რაც ინგლისში ლიბერალური ასოციაციებია, ყველასათვის დაურიგებია. კომიტეტს რეზოლიუციაც შეუდგენია კრებაში წარსადგენად. რეზოლიუციაში სწერია:

„კრება აცხადებს: ლიბერალურ ფედერაციის წლიურმა კრებამ, გასულს მაისს ქალ. ბრისტოლში, მთავრობის სასკოლო კანონ-პროექტი სასტიკად დაჰგმო. პარლამენტის კამათმა და საერო კრებებმა ცხადად დაამტკიცეს, რომ ინგლისის უმეტესობაც ამავე თვალით უყურებს სასკოლო კანონ-პროექტს. კომიტეტი ხელმეორედ ამტკიცებს, რომ კანონ-პროექტი ყოველის მხრივ მავნებელი და რეაქციონურია. განათლებისა და პოლიტიკის საქმესაც ორსავეს დიდს ზარალს მოუტანს. წარსული საზოგადო არჩევნები განსაკუთრებულ პირობებში მოხდა (ომის დროს), ამას წინად დამატებითმა არჩევნებმაც ცხადად დაამტკიცეს, რომ ინგლისის ერი სულ სხვა თვალით უყურებს ეხლანდელ მთავრობასა და იმის მომხრე უმეტესობას, ამიტომ მთავრობას არაფერი ზნეობრივი უფლება არა აქვს თავისი სასკოლო კანონ-პროექტის დამტკიცება დააჩქაროს პარლამენტში“.

◆ ირლანდიის შეერთებული ლიგა ძლიერ გაცოცხლდა ამ ბოლოს დროს. ირლანდიის გარდა, შეერთებულ შტატებში მცხოვრები ირლანდიელებიც უფრო დიდის ინტერესით ადევნებენ თურმე თვალ-ყურს ნაციონალისტურ მოძრაობას ირლანდიაში. ამ ბოლოს დროს ცნობები მოვიდა, ჯონ რედმონდისა, მაკ გიუგისა, ო'დონელისა და სხვა გამოჩენილ ირლანდიელ მოღვაწეთა მოგზაურობის შემდეგ, ჩრდილოეთ-ამერიკის ქალაქებში, თითქმის ყველგან, მრავალი განყოფილება გახსნეს ირლანდიის შეერთებული ლიგისა. ქალ. ბოსტონში მალე ირლანდიელები კრებას მოახდენენ. ირლანდიის საპარლამენტო დასის წარმომადგენლები რედმონდი, დილონი და ბლეკიც დაესწრებიან კრებას. ირლანდიელები მომავალ თვეებში ავსტრალიაშიაც გაჰგზავნიან თავიანთ დეპუტაციას. დეპუტაციის მეთაურად ო'კონორი იქმნება. ამას წინად ავსტრალიაშიაც მოახდინეს რამდენიმე კრება ირლანდიელების სასარგებლოდ. კრებებს დიდ-ძალი ხალხი ესწრებოდა თურმე და ყველგან ძლიერ თანაგრძნობას უცხადებდნენ ირლანდიელებს. ბევრი ფულიც შეკრიბეს და ირლანდიაში გაგზავნეს.

◆ გაზ. „რუმინიან ბიულეტენ“-ში ინგლისის სახელმწიფო კაცებმა, მეცნიერებმა და სხვ. მრავალი წერილი დაბეჭდეს და რუმინიელ ურიებს თანაგრძნობა გამოუცხადეს; ამასთანავე რუმინიის მთავრობის ქცევა სასტიკად გაჰკიცხეს. წერილები გამოუგზავნიათ იმისთანა გამოჩენილ კაცებს, როგორც ჩემბერლენი, ჩარლზ დილკი, ჰერბერტ გლადსტონი, ლორდ რიპონი, ლეკი, პროფ. ა. დაისი, ცნობილი ფიზიკოსი ტომსონი, კენტერბერის არქიეპისკოპოსი და ლონდონისა და ვეკფილდის ეპისკოპოსები და სხვ.

ბურების გენერლების მოწოდება. ბოტამ, დევეტმა და დელარეიმ ამნაირი მოწოდებით მიჰმართეს „მთელ განათლებულ ქვეყნიერობას“:

„ყველას კარგად ახსოვს, თუ როგორ იბრძოლეს ბურებმა მთელი ორ წელიწადნახევარი თავიანთ დამოუკიდებლობის დასაცველად და მერე როგორ იძულებული იყვნენ ბურების დელეგატები ფერეინიგინგში მეფე ედუარდ VII-ის მთავრობისაგან დადებული ზავის პირობები მიეღოთ. ამავე დროს დელეგატებმა დაგვავალეს, ინგლისში წადით, ჩვენ ახალ მთავრობას გააგებინეთ, თუ რა საზარელ ყოფაშია ჩავარდნილი ყველგან ახალ კოლონიების ხალხი და სთხოვეთ ეს გამოუთქმელი გაჭირვება როგორმე შეამსუბუქოს. ვინიცობაა, ვერას გახდეთ, მთელ განათლებულ კაცობრიობას მიჰმართეთ და შემწეობა სთხოვეთო. რამდენჯერმე ვსთხოვეთ ინგლისის მთავრობას, რომ ჩვენი ერისათვის უფრო უხვი დახმარება გაეწია, მაგრამ ჩვენმა თხოვნამ არ გასჭრა. ჩვენი ხალხი კი მართლაც აუწერელ გაჭირვებაშია ჩავარდნილი, ამიტომ, მეტი გზა არ არის, ევროპისა და ამერიკის ყველა ერებს უნდა მივმართოთ. ომის დროს ბევრი ცხელი დღე გამოვიარეთ ჩვენცა და ჩვენმა ხალხმაც. ძლიერ სასიამოვნო იყო ჩვენთვის, რომ სწორედ ამ დროს ყველა ქვეყნებიდან განუწყვეტლივ თანაგრძნობას გვიცხადებდნენ. ყველა მხრიდან ფულს გვიგზავნიდნენ და სხვანაირადაც ეხმარებოდნენ დედა-კაცებსა და ბავშვებს თავშესაფარ ბანაკებში და ეგრეთვე ტყვე-ბურებს. ამ შემწეობამ დიდად შეუმსუბუქა ამ უბედურებს ყოფა. ჩვენც ვსარგებლობთ ეხლა შემთხვევით და ორსავე წინანდელ რესპუბლიკის ხალხის სახელით გულწრფელ მადლობას უხდით ყველას, ვინც კი წარსულში დახმარება გაგვიწია. ბურების პატარა ერი არას დროს არ დაივიწყებს, თუ რა შემწეობა გაუწიეს გაჭირვების ცხელს დღეს. ორსავე რესპუბლიკის ერმა ყველაფერი ანაცვალა თავის დამოუკიდებლობას; რაც კი გააჩნდა, ყველაფერი ამ საქმეს შესწირა და ეხლა აღარაფერი აღარ აბადია. თუმცა ჩვენ არ გვიანგარიშნია ზედ მიწევნით, თუ რამდენი ფერმა გაოხრდა ომის დროს, მაგრამ ჩვენის თვალით ვხედავდით და დარწმუნებულნი ვართ, რომ ინგლისელებმა სულ მცირედ 30 ათასი სახლი და ფერმა მაინც დასწვეს; დასწვეს ეგრეთვე ბევრი სოფელიც, ჩვენი სახლები და რაც შიგ მოძრავი ქონება იყო, დასწვეს, ან გააოხრეს, ხეხილი დაჩეხეს, სამეურნეო იარაღი და ავეჯი დალეწეს, საქონელი წაასხეს და დახოცეს. არაფერი აღარ შეგვრჩა. ჩვენი ქვეყანა გავერანდა, უდაბნოდ გადაიქცა. ომის დროს ბევრი მოქალაქე (ბური) გარდაიცვალა. ქვრივებისა და ობლების კვნესა და ტირილი ცოდვით ავსებს ჩვენს ქვეყანას. აღარ ვამბობთ, თუ რამდენი ფული დასჭირდება მოქალაქეების შვილების აღზრდას. დიდად გაჭირებულნი მივმართავთ მთელ განათლებულ ქვეყნიერობას და ვსთხოვთ დახმარება გაუწიონ ქვრივ-ობოლთ, დაშავებულ მეომრებს, ყველა გაჭირვებულსა და დავრდომილსა და შეგვაძლებინონ, რომ ჩვენ შვილებს რიგიანი სწავლა მივაღებინოთ. ომის საზარელ შედეგს მხოლოდ იმიტომ ვიხსენიებთ, რომ ჩვენი ერის გაჭირვებული მდგომარეობა ყველას გავაცნოთ, და არა იმისთვის, რომ ხელმეორედ ხალხი ავაღელვოთ. ეხლა ხმალი ქარქაშშია ჩაგებული და ყოველ დავიდარაბას თავი უნდა დავანებოთ, ოღონდ ჩვენ საშინელ გაჭირვებას ბოლო მოეღოს. ომმა ისე გააოხრა ჩვენი ქვეყანა, რომ ენით არ ითქმის და კალმით არ აიწერება. ინგლისმა ერთი ათად მეტი შემწეობაც რომ მოგვცეს იმაზე, რაც ზავის პირობის თანახმად უნდა გაგვიწიოს, სამხედრო ხარჯების დასაფარავადაც-კი არ გვეყოფა. ინგლისის შემწეობიდან ქვრივ-ობოლნი, დაშავებულნი და გაჭირვებულნი ძლიერ ცოტას მიიღებენ, მომეტებულ ნაწილად-კი სულ ვერას ეღირსებიან. აი, ამათთვის ვთხოულობთ ჩვენც შემწეობას. ყველა შემოწირულება ერთ კასაში შეიკრიბება. კასას სახელად ბურების დახმარების უმთავრესი ფონდი ერქმევა. შემწეობა მარტო იმათ მიეცემათ, ვის სასარგებლოდაც იკრიბებოდა ეს ფონდი. უმდაბლესად ვთხოვთ ევროპაში და ამერიკაში დაარსებულ კომიტეტებს ერთად თანხმობით იმოქმედონ და ბურებისათვის ფული შეჰკრიბონ. და ჩვენ თითონაც ვაპირობთ, ყველა ეს ქვეყნები რიგ-რიგისად მოვიაროთ შეწირულების შესაკრებად და საჭირო ორგანიზაცია დავაწესოთ“.

ახალი ამბავი

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს განუზრახავს მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ერმოლოვის ტფილისში ყოფნის დროს საზოგადოების წევრთა **კრება მოახდინოს და ბ-ნი მინისტრი მიიპატიჟოს.**

◆ ტფილისის გუბერნიაში **მიწების გამმიჯვნელ დასთა** მუშაობის თვალ-ყურის სადევნებლად მიწათ-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულმა დანიშნა თავისი თანაშემწე ბ-ნი ზოლოტარევი. რწმუნებულის თხოვნით, ტფილისის გუბერნატორმა მოწერილობა გაუგზავნა მაზრის უფროსებს და დაავალა განკარგულება მოახდინონ, რომ მიწების გამმიჯვნელთა დასებს ყოველივე დახმარება აღმოუჩინონ. ამასთანავე გუბერნატორი სწერს მაზრის უფროსებს, რომ თითოეულ მოხელესთან დანიშნულ იქნას ისეთი კაცი, რომელმაც რუსული ენა იცოდეს.

◆ **ზემო იმერეთიდან** ვვატყობინებენ, რომ სიმინდისა და ღვინის მოუსავლობით მეტად დაზარალებულან მთიან ადგილების მცხოვრებნი. მაგალითად, სოფ. კორბოულისა, დურევისა, ჭალისა, ცხამისა და სხვ. სოფლები იმდენად დაზარალებულან, რომ ამ შემოდგომიდანვე დასჭირდებათ სიმინდის ყიდვა. საქმეს უფრო ის გაუჭირვებს ხალხს, რომ ჭიათურაში შავი-ქვის მუშაობა შესწყდა, რის გამოც ხალხს ფულის შოვნა მეტად გაუძნელდა.

◆ ტფილისის პირველ სავაჟო გიმნაზიის მესამე კლასში იმდენმა მოწაფემ მოიყარა თავი, რომ ტევა აღარ არის. ამის გამო გიმნაზიის მთავრობამ გადასწყვიტა ორშაბათს, 23 სექტემბრიდან მესამე კლასის **მესამე პარალელური განყოფილება** გახსნას.

◆ ყრუ-მუნჯთა სამზრუნველოს განყოფილებას კიდეც მოუძებნია სადგომი და **მომავალ ოქტომბრიდან სკოლასაც გახსნიან.** სკოლის გამგედ ბ-ნი რაუტია; ამას გარდა კიდევ იქმნება მასწავლებელი ქალი მინასიანცისა. წინად განზრახული ჰქონდა სამზრუნველო განყოფილებას მხოლოდ ექვსი ყრუ-მუნჯი მიეღოთ, მაგრამ იმდენი მთხოვნელი მიაწყდა თურმე, რომ ეხლა ერთი ორად მიუღიათ: 12 ყრუ-მუნჯი ამოურჩევიათ კიდეც.

◆ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ნება დართო, რომ სასოფლო მეურნეობისათვის ზოგიერთ საჭირო იარაღების საზღვარ-გარეთიდან **უბაჟოდ შემოტანის ვადა** გაგრძელებულ იქმნეს მომავალ 1903 წლის 18 დეკემბრამდე.

◆ გუშინ-წინ, როგორც იქმნა, შეიკრიბა **ტრამვაის გამგე ქალაქის კომისია.** ყურადღება მიაქციეს, რომ ტრამვაის მოსამსახურენი მეტად უზნეოდ იქცევიან და, საზოგადოდ, უწესოება და უწეს-რიგობაა ამ საქმეში. თუმცა ყველა ეს კომისიასა და ქალაქს დიდი ხანია აღუნიშნავს, მაგრამ ტრამვაის საზოგადოების გამგებელნი ყურსაც არ იბერტყავენო. ამიტომაც კომისიამ დაადგინა: ყოველ უწესოების გამო დაჯარიმებულ იქმნეს ტრამვაის საზოგადოება ხუთ-ხუთის მანეთით. რადგან ამ საზოგადოებას ცხენები სრულებით არ უვარგა და ამიტომაც ტრამვაის სიარული დაგვიანებულია, ვსთხოვოთ გამგეობას ბეითალი დაუნიშნოს დროებით კომისიის თავმჯდომარეს, რომ ერთად ამ საზოგადოების ცხენები დაათვალიერონო.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაუვალებია თავის იურისკონსულტისათვის კავკასიაში, **შეიმუშავეთ და წარმომიდგინეთ ისეთი წესები,** რომ სახელმწიფო ქონებათა ინტერესები საუკეთესოდ იქმნეს დაცული სასამართლოებში, როცა იქ ხაზინასთან რომელიმე სადავო საქმე ირჩევა—სანადელო თუ საზოგადოთ სახაზინო მიწების შესახებაო.

◆ გუშინ, ქალაქის საბჭოს დარბაზში კრება იყო **ქალაქის მედუქნეებისა და მეტრაქტირეებისა,** რომელთაც სააქციზო გარდასახადის გამწერლები უნდა აერჩიათ. კრებაზე გამოცხადდა ასი კაცი; თავმჯდომარედ იყო გამგეობის წევრი ბ-ნი კოკჩაევი. კრებამ საყვედური გამოაცხადა, წელს უფრო მეტი გაგვაწერა ქალაქმა სააქციზო გარდასახადიო და ამგვარად მომატება მეტად ასუსტებს ჩვენს ვაჭრობასაო. რადგან კრებას არ შეეძლო ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა, დაადგინეს ვსთხოვოთ გარდასახადი შეგვიმციროონო. ამას გარდა, იშუამდგომლოს ქალაქმა მთავრობის წინაშე, ჩვენში ნუ შემოიღებენ მაგარ სასმელებით მოვაჭრეთა შემცირების წესებს, რადგან ეს წესები ჩვენს მხარეს არ შეეხება, მაშინ როდესაც ადგილობრივის ადმინისტრაციის მოთხოვნილებით ეს წესები უნდა აქაც შემოიღონო. ისიც ითხოვეს, რომ მაგარ-სასმელებით მოვაჭრეთ თვალ-ყური ადევნონ, რადგან ზოგი მათგანი ვაჭრობის წესს არღვევს და ცუდად მოქმედობს საზოგადოდ ყველა მოვაჭრეებზედაო. დასასრულ კრებამ აირჩია ოცოცი კაცი ხარჯის გამწერ კომისიებში მედუქნეებზე და მეტრაქტირეებზე.

✦ ქ ბნმა ვ. ვ. თამამშევისამ, როგორც ვიცით, ათასი თუმანი შესწირა ქალაქს, რომ ამ ფულის სარგებლით სტიპენდია დაინიშნოს პეტერბურგის უნივერსიტეტში ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად. ეს სტიპენდია ანუ სტიპენდიები ქ-ნის თამამშევის გარდაცვალებულ სტუდენტ-შვილის, ი. გ. თამამშევის სახელობაზედაა დანიშნული და უნდა მიეცეს ამ უნივერსიტეტში იურიდიულ განყოფილებაზე ტფილისელ მოსწავლეს, სარწმუნოებისა და ხალხოსნობის განურჩევლად. მოსწავლე უნდა ქალაქმა აირჩიოს.

✦ 18 სექტემბერს ტფილისის ქალაქის გამგეობას განსახილველი ჰქონდა საკითხი წყლის პირის ქუჩაზე **ქალაქის საკუთარ მიწის მითვისების შესახებ** ჰენრიხ ვეტცელისა და სხვათაგან. რადგანაც საბუთებში აღმოჩნდა, რომ ნაჩვენებ ადგილის საზღვარი დასავლეთით მტკვარია, გამგეობამ ეს ადგილი ქალაქის საკუთრებად იცნო და გადასწყვიტა ნება არ მიეცეს ადგილის მიმთვისებელთ განზრახულ ღობის გაკეთებისა.

✦ გუშინ, 19 სექტემბერს, სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე სენაკის მაზრის სოფელ გედითკარის მცხოვრების აზ. პოროვირე დოდუასი, რომელსაც ბრალდებოდა მეზობლის ივანე ბესარიონის ძის გაბუნიას მოკვლა. 1901 წელს, 5 აპრილს, დღესასწაულ დღეს, დოდუასა და გაბუნიას ერთმანერთში უსიამოვნება მოსვლიათ, რომლის დროსაც დოდუას ხანჯალი წვერით უსროლია გაბუნიასათვის და მარჯვენა თვალში ჩაურჭვია. გაბუნია ამ ჭრილობისაგან 6 დღის შემდეგ გარდაცვლილა. ქუთაისის ოლქის სასამართლოს დოდუა დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია მისთვის ყოველიგე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში $1\frac{1}{2}$ წლით გაგზავნა. დოდუას ოლქის სასამართლოს განაჩენი გასაჩივრებია ტფ. სამოსამართლო პალატაში, რომელმაც გუშინ განიხილა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო დოდუა და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

✦ კახეთის მოედანზე, ბეითალ ვარშამოვის სახლს 18 სექტემბერს ცეცხლი გაუჩნდა. ვარშამოვს, როგორც აღნიშნული გვქონდა, ორ-სართულიანი სახლი დაეწვა და თითქმის 20,000 მ. ზარალი მოუვიდა. დამწვარ სახლის ნანგრევებზე მან მეორე სახლი ააგო და ცოტაღა უკლდა დამთავრებას. ერთი ნაწილი ტყის მასალისა დაწყობილი ყოფილა ეზოში და აღნიშნულ დროს, ჯერ გამოურკვეველ მიზეზისა გამო, გასჩენია ცეცხლი. თუმც ცეცხლის მქრობელი რაზმი მალე მოვიდა, მაგრამ მაინც ვერაფერი გადაარჩინა. ცეცხლის გაჩენის მიზეზის გამოსარკვევად გამოძიება სწარმოებს.

✦ როგორც აღნიშნული გქონდა, ნავთლუღიდან ტფილისში მომავალ მაჰმადი ალი-ოღლის დაეცნენ ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი და წაართვეს ფულად 285 მან. საათი და ვერცხლისავე ქამარი. 17 სექტემბერს პოლიციამ უკვე აღმოაჩინა ერთი დამნაშავე, ახალ-ციხის მცხოვრები ინეაკოვი. ინეაკოვი გამოტყდა დანაშაულობაში და თავისი ამხანაგიც დაასახელა.

✦ 17 სექტემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, ნიკოლოოზის ხიდზე მიმავალმა საზოგადოებამ დაიჭირა ვაჟთა პირველ გიმნაზიის 14 წლის მოსწავლე ვაჰრის გეცოვის შვილი, რომელიც მტკვარში აპირებდა გადავარდნას და თავის დარჩობას. გამოირკვა, რომ გეცოვი სულით ავადმყოფი ყოფილა.

✦ გუშინ ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა მისწერა პოლიცმეისტერს, განკარგულება იქნეს მოხდენილი, რომ აბანოების საზოგადო განყოფილებებში შემსვლელ ხალხს საცვლების გარეცხის ნება არ მიეცესო.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისის ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელიც 23 სექტემბერს უნდა მოხდეს, ძლიერ საყურადღებო იქმნება, რადგან ბევრი ძლიერ საჭირო კითხვაა ამ დღეს გასარჩევი. ამ დღესვე უნდა ამოირჩიონ ქალაქის საბჭოს მდივანი. კანდიდატათ ასახელებენ ივ. ილ. ჯაფარიძეს, რომელმაც წარსულ მაისში გაათავა უმაღლესი სასწავლებელი ადესაში. ეს ყმაწვილი ამ ჟამად საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლადაა ეპარქიალურ სასწავლებელში და ქალების კერძო პროგიმნაზიაში.

✦ ქალაქის საბჭოს უკანასკნელი სხდომის დადგენილება ხორცის ნიხრის დაკლების შესახებ ბ-ნს ქუთაისის გუბერნატორს გადაუცია განსახილველად საქალაქო საქმეთა საკრებულოსათვის; ასე რომ ჯერ-ჯერობით ხორცი ისევ ძველი ნიხრის მიხედვით იყიდება, ე. ი. პირველ ხარისხის ხორცი—9 კაპ., მეორესი—8 კაპ.: მხოლოდ ეს კია, რომ მეორე ხარისხის ხორცი ქუთაისში აღარ არსებობს, რადგან პირველი ხარისხის ხორცს სჭირდება „დავესკათ“!

✦ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზე სკოლის რამდენისამე ტიპის შესამუშავებლად ამორჩეულ კომისიას პირველი სხდომა ჰქონდა კვირას, 15 სექტემბერს, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით. კომისიამ მდივნად ამოირჩია ი. თ. ბაქრაძე, რომელსაც მიენდო სხდომების ოქმების წერა. კომისიის წევრთა შორის ჯერ-ჯერობით ოთხგვარი აზრი ტრიალებს: ერთი—საშუალო სამეურნეო სასწავლებლის სასარგებლოდ, მეორე—სააზნაურო გიმნაზიისთვის, მესამე—მაზრებში რამდენისამე დაბალ სასწავლებლის დასაარსებლად სამეურნეო განყოფილებით და მეოთხე—ქალების სკოლის დაარსების სასარგებლოდ. სხდომას თითქმის კომისიის ყველა წევრები დაესწრო.

რუსეთის ქრონიკა

✦ მომავალის წლის იანვარს პეტერბურგში მოხდება სრულიად რუსეთის ბეითალთა კრება. კრება 16 სექციად იქმნება გაყოფილი. მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი იქმნებიან საბეითალო ინსტიტუტების პროფესორნი. საორგანიზაციო კომიტეტის წევრად 15 პეტერბურგელი და 15 პროვინციელი ბეითალია. მომავალ კრებაზედ ლაპარაკი, სხვათა შორის, ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოებისა, კასსისა და სხვა ამ გვარ დაწესებულების დაარსების შესახებაც ექმნებათ.

✦ საელექტრო-ტეხნიკო ინსტიტუტში შესვლის სურვილი განაცხადა სულ 530 კაცმა. აქედან მიიღეს მხოლოდ 66 კაცი.

✦ სარატოვში არსდება ახალი საზოგადოება—„ქარხნებსა და სახელოსნოებში მოსამსახურეთა ურთ-ერთ დამხმარებელი ძმობა.“ ძმობას აზრად წევრთა ქონებრივ და გონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესება აქვს. ამ აზრით ძმობა დააარსებს საჩაიებს, სასადილოებს, იაფ-ფასიან სადგომებს, თავ-შესაფარებს, შრომის სახლებს, საავადმყოფოებს, სახელოსნოებს, არტელებს, მომხმარებელ დუქნებს, მუშათა მიერ დამზადებულ საქონლის საწყობებს, სამუშაოს მოსაძებნ ბიუროებს და სხვას, აგრეთვე კურსებს, საჭირო ლექციებს, წიგნთ-საცავ—სამკითხველოებს და სხვას. საწევრო შესატანი ხუთ კატეგორიადაა გაყოფილი, თვეში უნდა შეიტანონ: 1) 11 კაპ., 2) 27 კაპ., 3) 53 კაპ., 4) 79 კაპ. და 5) 1 მან. 5. კაპ. ამას გარდა ყველა კატეგორიის წევრმა უნდა შეიტანოს წელიწადში 10 კაპეიკი სამარხ თანხის შესადგენად. საწევრო ფულის ერთი ნაწილი სახელდობრ: 1, 2, 3, 4 და 5 კაპეიკები გამსესხებელ თანხის შედგენას მოხმარდება. ხელოსნებსა და მუშებს გარდა, სხვებსაც შეუძლიანთ დამხმარებელ წევრებად ჩაეწერნენ. იმათ წელიწადში სამ-სამი მანეთი უნდა შეიტანონ.

ვლადივასტოკში სამოსამართლო პალატამ განიხილა საყურადღებო საქმე გაზეთ “ვლადივასტოკის“ რედაქტორის რემეზოვისა და თანამშრომელის მატვეევისა. პირველსა ჰბრალდებოდა დაბეჭდვა, ხოლო მეორეს შედგენა ლექსის „სიმღერისა“, რომელიც ვითომ ჩირქსა სცხებდა ჩინეთში მყოფ რუსეთის ჯარის სახელსა და პატიოსნებას. საჩივარი აღძრა გენერალმა ჩიჩაგოვმა. გენერალი თხოულობდა, ბრალდებულნი სამხედრო სამართალში მიეცათ. ბრალმდებელმა სასამართლოში მოითხოვა რედაქტორისა და თანამშრომელის დასჯა და განაცხადა, რომ ლექსში რუსეთის ჯარის აფიცრები სასაცილოდ არიან აგდებულიო. პალატამ ორივე ბრალდებელი გაამართლა.

11 სექტემბერს გამოსცადეს ისინი, ვინც პეტერბურგის დრამატიულ კურსებზედ აპირებს შესვლას. სულ გამოცხადდა 42 ქალი და 22 კაცი. მიიღეს 12 ქალი და 6 კაცი.

პეტერბურგის უმაღლეს წრის მანდილოსანნი ახალს საზოგადოებას აარსებენ. აზრად საზოგადოებას ინგლისურის მეთოდით ბავშვთა ფიზიკურად აღზრდა აქვს. მასწავლებლებს ინგლისიდან მოიწვევენ. წესდება საზოგადოებისა უკვე შეუმუშავებიათ და წარუდგენიათ დასამტკიცებლად.

✦ ცარიცინში ახალი სექტა აღმოუჩენიათ. სახელად სექტანტებს „ენოხოვცებს“ ეძახიან. სექტანტები დარწმუნებულნი არიან, რომ მეორედ მოსვლა მეტად მალე იქნება. ამის უმთავრეს საბუთად ახალი მოგონებანი და გამოკვლევანი მიაჩნიათ: რკინის გზები, ტელეფონები, გრომოფონები ღ სხვა. იმათის სიტყვით, ყველა ამაში ეშმაკები სხედან და ამოძრავებენ. საზოგადოდ ამ ბოლოს დროს ძალიან ბევრმა ეშმაკმა დაიბუდა კაცთა შორის განსაკუთრებით ხელთათმანების ქვეშ არიან დამალულნიო. ამას გარდა მეორედ მოსვლის მოახლოვებას ის გარემოებაც ჰმოწმობს, რომ დიდ-ძალი ვარსკვლავი ვარდება ციდანო. სექტანტები ამბობენ, რომ წინასწარმეტყველნი ილია და ენოქი, რომელნიც ცოცხლად იყვნენ აყვანილი ზეცას, უკანვე დაბრუნდნენ და ეხლა ჩვენ შორის იმყოფებიანო. ილიამ მღვდლის იოანე კრონშტატელის სხეულში დაიბუდა, ენოქი კი ჯერ არ გამოჩენილაო. რა წამს ენოქი გამოჩნდება, იმ წამს მეორე მოსვლა დაიწყობაო.

პრესსა

დიდი ხანია საუკეთესო პედაგოგებმა ჭეშმარიტებად აღიარეს, რომ სკოლისა და ცხოვრების შუა ცოცხალი კავშირი და ერთობა უსაჭიროესი ფაქტორია სწავლა-აღზრდის საქმის ნორმალურ ნიადაგზე დამყარებისათვისო. ეს ჭეშმარიტება, როგორც სხვა ბევრიც, კარგად შეგნებული არ არის და, სამწუხაროდ, ახლანდელი სკოლა ძალიან დაშორებულია ცხოვრებაზე. ახლა, როდესაც რუსეთში სწავლა-განათლების საქმის რეფორმაზე მიდგა საქმე, ამ საგანსაც ეხებიან და ეძებენ საშუალებათ, რომლებმაც სკოლა და ცხოვრება უნდა დაუახლოვონ ერთმანეთს. სხვათა შორის, გაზეთები სიამოვნებით აღნიშნავენ ერთ-ერთ სამოსწავლო ოლქში ამ სამოსწავლო წლიდან შემოღებულს წესს, რომელსაც საგნად აქვს ხსენებული დაახლოვება. გაზეთების სიტყვით,

> რიგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, დრო გამოშვებით მასთან შეიკრიბებიან რიგის საშუალო სასწავლებელთა მასწავლებელ-აღმზრდელნი და მოწაფეთა მშობლები სასწავლებელთა საქმე-საჭიროებების განსახილველად.

თქმა არ უნდა, რომ ამგვარ ღონისძიებას კარგი შედეგი მოჰყვება სკოლისათვის.

⁂

მკითხველებს, უეჭველია, კარგათ ახსოვთ ბბ. ივერიელების „შესანიშნავი“ ბოიკოტი სომხების წინააღმდეგ „(ივერია“, 27 ივნისი). ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ ამ ბოიკოტის უაზრობა („ცნ. ფ.“ 28 ივნ.). გაზეთი „ივერია“ ახლა გვაძლევს ამის პასუხს.

პასუხის ასეთს დაგვიანებას თავისი რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზი ჰქონია. ეგ არაფერია, მაგრამ კაცი დააგვიანებს თუ არა აზრის გამოთქმას, ორი თვის წინათ ნათქვამი კარგათ უნდა ახსოვდეს. ბბ. ივერიელები 27 ივნისს სწერდნენ:

> ქართველი ერი ვერ აიტანს ამ სამარცხვინო მონობას (სომხობის ბატონობას). როდესაც თავის მდგომარეობას შეიგნებს, გამოუცხადებს სომხებს ბოიკოტს, ე. ი. აღარც არაფერს იყიდის მათგან და აღარც არაფერს მიჰყიდის. მაშინ სომხები იძულებულნი შეიქნებიან, ბარგი აიკრან და, როგორც მობრძანდნენ, ისე წაბრძანდენ აქედან.

ეხლა-კი ამბობენ: სომხების გარეკვის სურვილი არასოდეს არ გამოგვიცხადებიაო.

თუ გინდათ, ესეც არაფერი იყოს. „ივერიას“ სჩვევია ასეთი „არაფერები“. მაგრამ შემდეგი-კი არაა „არაფერი„: რომ ბოიკოტი ძლიერი რამაა და შესაძლებელია ჩვენში, —ეს ჩვენს მოწინააღმდეგეებს იმით უნდათ დაგვიმტკიცონ, რომ „იმერელი ვაჭრები ბოიკოტით ებრძვიან იმ ვაჭარ-სომხებს, რომელნიც-კი მოინდომებენ ხოლმე იმერეთში დაბინავებას“.

ასე, გაზეთს „ივერიას“ ბოიკოტი და კონკურენცია ერთი ჰგონებია. ვის გაუგონია, რომ იმერეთში სომხისათვის ბოიკოტი გამოეცხადებინოთ, ე. ი. ან არ ეყიდოთ ან არ მიეყიდოთ მისთვის რამე! იმერეთში თუ სომხის ვაჭრები არ არიან, ამის უბრალო მიზეზი ისაა, რომ იმერლებს და მეგრელებს სომხებზე ნაკლები ნიჭი და უნარი არა აქვთ ვაჭრობა-წარმოებისა, და როდესაც ადგილობრივი მცხოვრებლები რამე საქმეში უცხოელებზე ნაკლებ არ არიან გამოცდილნი და დახელოვნებულნი, მაშინ მოსული კაცი ადგილობრივს ვერ გაუწევს კონკურენციას.

ეს არის და ეს. აქ არც ბოიკოტია, არც მისი ნასახი. მაგრამ „ივერია“ რისი „ივერიაა“, თუ ის არ მოეჩვენა, რაც არ არის, და არ დაინახა ის, რაც ნამდვილად არის. ძალიან სძულს „ბავშვობა“ და თავი მოსწონს თავის მოხუცებულობით, მაგრამ მოხუცებულობას, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი რამ ცუდი მოსდევს :სხვათა შორის,—მეხსიერების დასუსტება და სხვა-და-სხვა საგნების ერთმანეთში არევა.

თეატრი

ოპერა. თავად-აზნაურთა თეატრში 18 სექტემბერს პირველად დასდგეს ოპერა. სასიამოვნოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქართველთა თეატრში პირველად იმართება ოპერა ქართველის თავ. ა. ა. წერეთლის მეთაურობით. თეატრი, რამდენადაც მოსახერხებელი იყო მოკლე ხანში, ლამაზად არის გადაკეთებული. დეკორაციები სრულიად ახლებია და ხელოვნურად არის დახატული. მხოლოდ პირველი ფარდის განახლება დაჰვიწყებიათ. სკამებსაც გამოცვლა უნდა. ოპერა სწორედ 8 საათზე დაიწყო. ესეც იშვიათი მოვლენაა ამ თეატრში, რომ სწორედ დანიშნულ დროზე დაეწყოთ წარმოდგენა. თ. წერეთლის საოპერო დასის შესახებ თუმცა ჯერ არა უნდა ითქვას-რა, რადგან პირველ მოქმედებიდამვე სჩანდა, რომ ყველა მომღერალნი შეკრთნენ, მაგრამ არ შეგვიძლიან სიამოვნებით არ აღვნიშნოთ საუცხოვო ხმები ქალ. გაშინსკაიასი (მარგარიტა), დობრჟანსკაიასი (ზიბელი). თუმცა ახალგაზდა მომღერალნი არიან, მაინც თავ-თავიანთ პარტიებში ხმაც გამოიჩინეს, სიმღერის უნარიც და თამაშობის ცოდნაც. ამიტომაც დამსწრეთ ხანგრძლივის ტაშით დააჯილდოვეს მომღერალნი და მიართვეს თითო კონა ყვავილებისა. ხორო, ორკესტრი იმდენად კარგია და ისე მწყობრად ასრულებდნენ თავ-თავიანთ მოვალეობას, რომ ხშირად სახაზინო თეატრშიაც არ შევსწრებივართ ამას. ბ. შტეინბერგი გამოცდილი და საქმის მცოდნე დირიჟორი ყოფილა. თეატრი სავსე იყო. დასასრულ უნდა აღვნიშნოთ ნაკლი: მოუწყობლობა სინათლის ეფექტებსა, წარმოდგენას უკარგავს ილიუზიას. დეკორაციებს უკან ძალიან ახლოა სინათლე, ამისათვის სჩანან იქვე მდგომნი მოთამაშენი (ეს დეკორაციებია, რომლებიც კედლებს გვიხატავს). ზოგიერთნი ქანდარაში საძაგლად ღ უმართებულოდ იქცევიან. პოლიცია ვალდებულია მოსპოს ეს უსაქციელობა. ორისა ღ სამის დასჯით და რიგიანად თვალ-ყურის დაჭერით ადვილი მოსასპობია. ვუსურვებთ თავ. წერეთელს წარმატებას.

—

ბათუმი. კვირას, 15-ს სექტემბერს, აქაურ „რკინის თეატრში“ გამართულ იყო ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს „გაცრუებული იმედი“ კომედ. აზიანისა და „ჭკუისა მჭირს“ კომ. ა. ცაგარლისა.

სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ეს წარმოდგენა ყოველის მხრივ ჩინებული იყო. დიდძალი ხალხი, თეატრში შეკრებული, მეტად ნასიამოვნები დარჩა. მართლადაც, ორივე პიესა ცოცხლად და მკვირცხლად ასრულებულ იქნენ. სცენის მოყვარეებმა სწორეთ ისახელეს თავი ამ სადამოს. სასურველია, რომ მუდამ ამგვარად იმართებოდეს ხოლმე წარმოდგენები და ხალხი დიდის სიამოვნებით ივლის ხოლმე თეატრში. ყველა მოთამაშენი ხელს უწყობდნენ ამ კარგ წარმოდგენას და მაყურებლებთაგან დაჯილდოვებულ იქმნენ მრავალჯერ გამოძახებით. წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობდნენ ქ. სოლოროვი, ალიხანოვი, ბახტაძისა, მდივანი, ბ.ბ. ხარაზიშვილი, ალიხანოვი, მირიანაშვილი, დევანიძე და სხვ. ცალცალკე არავისზედ ვიტყვი რამეს—განვიმეორებ—ყველანი მშვენივრად თამაშობდნენ, მხოლოდ ორიოდე სიტყვა ბ. დევანიძეზედ. ეს პირი პირველად გამოვიდა სცენაზედ და თავისი ბუნებრივი თამაშით, თავისი მშვენიერი მკაფიო ქართულით და საამო ხმით მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ საზოგადოებაზედ.

წერილი ფოთიდან

† დეკანოზის გრ. სპ. მაჭარაშვილის გარდაცვალება დიდ მწუხარებაში ჩააგდო ფოთის საზოგადოება დიდათ პატივცემულ დეკანოზის

გრ. სპ. მაჭარაშვილის დაკარგვამ: ყველასაგან საყვარელი დეკანოზი 15 სექტემბერს გარდაიცვალა გორის მაზრაში თავის სამშობლო სოფელ ალში. განსვენებული საზაფხულოდ ჯანის მოსაკრეფად და სურამში წავიდა. სეზონის ბოლო რიცხვებში თავის სოფელში გამოიარა, სადაც მცირე ავადმყოფობის შემდეგ სული განუტევა.

განსვენებული 67 წლის მოხუცი იყო, სამაგალითო მსახური და ყველასაგან პატივცემული მოძღვარი. დიდი გავლენა და სიყვარული ჰქონდა მოპოვებული მრევლში, ასე რომ მისი აზრი სასულიერო და სახორციელო საგანზე ყველასათვის დიდის ყურადღებისა და პატივისცემის ღირსი იყო. საზოგადოებაში ცნობილი იყო, როგორც ქველმოქმედი და საზოგადო საქმის გულ-შემატკივარი კაცი. დიდ დახმარებას აძლევდა სასმელ-საჭმლით, ჩაცმა-დახურვით და საცხოვრებელი ბინის მოპოებით გაჭირვებულთა და ქვრივ-ობოლთ. სავალდებულოდ მიაჩნდა და ცდილობდა მრევლში როგორც სიტყვით, ისე საქმით ცუდი ჩვეულების მოსპობას და კარგის გაძლიერებას. მის ოჯახში ნახავთ აუარებელ კარგ წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს, რომელთაც იგი მუდამ გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს და დიდის ინტერესით ეცნობოდა თანამედროვე ცხოვრებას.

განსვენებულს სწავლა დამთავრებული ჰქონდა სტავროპოლის სემინარიაში, საიდანაც, 1858 წელს დანიშნული იყო ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად. 1866 წ. ნეტარ ხსენებულის გაბრიელ ეპისკოპოზის მიერ განწესებულ იქმნა ფოთის საკათედრო ეკკლესიის მღვდლად. 1887 წელში აყვანილ იქმნა დეკანოზის ხარისხზე და აირჩიეს საეპარქიო ქვრივ-ობოლთა სამზრუნველოს თავმჯდომარედ. ამავე თანამდებობას ასრულებდა საეპარქიო სანთლის ქარხნის მომწყობ კომიტეტში, რომელიც მან კარგ ნიადაგზე დაამყარა. 1896 წელს უწმინდესის სინოდის მიერ დანიშნულ იქმნა გურია-სამეგრელოს საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარედ. ერთგული სამსახურისათვის მრავალჯერ დაჯილდოებულ იქმნა სხვა-და-სხვა ორდენებით და მასთან ენქერით.

დაკრძალვის დღემდე ფოთის საკათედრო ტაძარში ყოველ დღე გარდახდილ იქნება პანაშვიდი და საზოგადოება მონდომებულია, რომ თავისი საყვარელი მოძღვარი ღირსეულად დააფასოს და პატივი სცეს.

საუკუნოდ იყოს ხსენება ღირსეულის მამის გრიგორისა, ვინაიდან კეთილი მოქმედებანი მისნი მრავალ არიან.

ი. იანეთელი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 სექტემბერი

ბაქო. უცხო ქვეყნებში ვაჭრობისათვის რუსეთის ბანკმა განყოფილება გახსნა აქ.

სევასტოპოლი. 17 სექტემბერს 2 საათზე შავის-ზღვის გემები უმაღლესად დათვალიერებული იყო. დათვალიერებამ სამ საათს გასტანა. ხელმწიფე იმპერატორმა და დედოფალმა, დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის თანხლებით, ფლაგმანთა ჯავშნიანი გემები დაათვალიერეს და სხვა გემებიც შემოიარეს. საღამოთი ქალაქი და გემები გაჩირაღდნებული იყო.

ხარბინი. სამხრეთ-მანჯურიიდან ჯარებმა იწყეს გამოსვლა.

სევასტოპოლი. გემების დათვალიერების შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა ნიშანი მისცა და თავისი განსაკუთრებული სიამოვნება გამოუცხადა.

ბაქო. სასიკვდილოდ დაჭრილი კონტროლერი ბედევანოვი ისე გარდაიცვალა, გონს არ მოსულა. პოლიციის დარაჯებმა ორი მალაკანი დაიჭირეს; ერთ მათგანს სამუშაო ბლუზას ქვეშ სისხლით შეთითხნილი პიჯაკი ეცვა, რევოლვერიც უნახეს. ჰფიქრობენ, მკვლელობა შეცდომით მოხდა: მეზობელ კუპეში იჯდა ბაქოელი მდიდარი ვაჭარი და მოდიოდა.

პეკინი. იმპერატორის ძმამ, პრინც ჩუნმა ჯვარი დაიწერა უმაღლესის მდივნის იუნგ-ლუს ქალზე. ამბობენ, ეს ქორწინება იმ განზრახვით მოახერხეს, რომ მემკვიდრე დარჩეს ტახტსაო. წარჩინებულნი ჩინეთისა ამას უარს ჰყოფენ.

სევასტოპოლი. გემების შემოსვლის შემდეგ, მათი უდიდებულესობანი გემ „ეკატერინე მე-II“-ზე მიბრძანდნენ, აქ საჭმელი გასინჯეს და მოწყალეთ გამოჰკითხეს სავადმყოფოში მწოლარე ავადმყოფების ამბავი. დაწვრილებით დაათვალიერეს გემი და მერე მათი უდიდებულესობანი გადავიდნენ ჯავშნიან გემ „ტრი სვიატიტელია“-ზე და ესეც დაწვრილებით დაათვალიერეს. შემდეგ საიმპერატორო იახტას „შტანდარტ“-ზე მიბრძანდნენ. დღეს უმაღლესად უნდა დაათვალიერონ ხერსონის მიდამოებში ძველი საფლავების გათხრილი ადგილები.

კიევი. გაზ. „კიევლიანინ“-ში დაბეჭდილია: „რადგან სამხრეთ-დასავლეთ რუსეთში კარგი მოსავალია, რკინის გზის სამმართველომ სთხოვა გზათა სამინისტროს სხვა გზებიდან ხუთი ათასი ვაგონი მოგვაშველეთო, მაგრამ მხოლოდ ორი ათას-სამასი ვაგონი მისცეს; ვაგონები არა კმარა. სადგურებზე მოგროვდა 13 ათას ვაგონის მარცვალი. თუ კიდევ ასე გაგრძელდა მოგროვება, ზოგი სადგური დაიხურება.“

სოფია. დიდის მთავრისა, ბოლგარიის მთავრისა და რუსების გენერლების თანადასწრებით გუშინ შიპკას სიმაღლეებზე ის ბრძოლა წარმოადგინეს, რომელიც 1877 წლის 22-სა და 23-ს აგვისტოს მოხდა. მერე წმ. ნიკოლოზის მთაზე პანაშვიდი გადაიხადეს ალექსანდრე მე-II-სა, ალექსანდრე მე-III-ის, დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის უფროსისა და გამანთავისუფლებელ ომიანობის დროს დახოცილ ჯარის კაცთა სულის მოსახსენებლად. მერე გვირგვინი დაადეს დიდმა მთავარმა, ბოლგარიის მთავარმა, მინისტრთა საბჭოსა, რუსეთისა და ბოლგარიის საზოგადოებათა სახელობით და კერძო კაცთ. რეიხსრატის დეპუტატებმა კლოთმა ჩეხელების სახელობით გვირგვინი დაადვა.

პეტერბურგი. 18 სექტემბერს სევასტოპოლს წავიდა ზღვათა სამინისტროს მმართველი, რომ იქ დაესწროს გემ „ოჩაკოვ“-ის ზღვაში ჩაშვებას. 17 სექტემბერს საზღვარ-გარედ წავიდა დიდი მთავრინა მილიცა ნიკოლოზის ასული.

მოსკოვი. ხალხის მატარებელი № 18 დღეს დილის 4 საათს რიაზანო-ურალის გზაზე დაეჯახა საქონლის მატარებელს № 601. ბაგაჟის ვაგონი, ფოსტისა და ის ვაგონი, სადაც ორთქლი მზადდება მატარებლის ვაგონების გასათბობად — დაიმსხვრა; საქონლის მატარებელში სამი ვაგონი გაფუჭდა. მემანქანემ, მისმა თანაშემწემ, კონდუქტორმა და ერთმა მგზავრმა ჭრილობა მიიღეს.

ბერლინი. სადამოჟნო-სატარიფო კომისიამ შეუცვლელად დასტოვა ის დადგენილება, რომელიც პურზე უმცირესის ბაჟის დადებას შეეხება და რომელიც პირველად წაკითხვის დროს მოწონებული იყო; განის მოთხოვნილება, ბაჟს მოვუმატოთო, — უარ-ჰყო კომისიამ.

ყაზანლიკი. შიპკის მიდამოებში აღლუმები დასრულდა. შუა დღეზე წარმოადგინეს შეინოვსთან ის ბრძოლა, რომელიც 1877 წელს 27-სა და 28 დეკემბერს მოხდა. განიმეორეს სკობელევმა და სვიატოპოლკ-მირსკიმ როგორ იმოქმედეს რადეცკის დახმარებით და რესსელ-ფაშა ორმოცი ათასი კაცით როგორ დაემორჩილდა. ყოველივე წყნარად და მოთმინებით გამოჰსახეს—ეს ყველა დამსწრეთ დაამოწმეს.

ჰელსინგფორსი. გამოცხადებულია: 1) უმაღლესი ბრძანება იმ წესდების ზოგი მუხლის შეცვლა, რომელიც სამოქალაქო დაწესებულებაში მოსამსახურეთ შეეხება და რომლის ძალით ამ ჟამად რუსებს ფინლანდიაში სამსახურში იღებენ. ჰელსინგფორსის უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებულებს თანასწორი უფლება ექნებათ იმათაც, რომელნიც კანდიდატისა და ნამდვილის სტუდენტის ხარისხით სწავლას დაამთავრებენ რუსეთის ყველა უნივერსიტეტში, დემიდოვის იურიდიულ ლიცეიში და უნივერსიტეტების გამომცდელ კომისიებისაგან 1-ლისა და მე-2 ხარისხის დიპლომებს მიიღებენ და მე-IX, მე-X და მე-XI კლასების ჩინებით დაამთავრებენ ლიცეისა, „პრავოვედენიის“ სასწავლებლისა და სამხედრო-იურიდიულ აკადემიას. დროებით შეიძლება ფინლანდიაში სამსახურში მიიღონ ყველა ისინი, რომელთაც სწავლა დაუმთავრებიათ რუსეთისა და ფინლანდიის სამოქალაქო და სამხედრო უმაღლეს სასწავლებლებში; 2) დადგენილება შესახებ იმისა, თუ რა წესით უნდა დათხოვნილ იქმნეს სამოქალაქო სამსახურიდან ის, ვისაც დათხოვის უფლება მე-IX-იდან მე-XIV კლასამდი უფროსს აქვს მინიჭებული, რომლისაგანაც დამოკიდებულია მიღებაც; ხოლო მე-V-დან მე-VI-კლასამდე მოსამსახურის დათხოვნა, პოლიციასა და გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში მოსამსახურეთა გარდა, სენატის სამეურნეო დეპარტამენტის უფლებად რჩება, მაგრამ გენერალ-გუბერნატორის თანხმობით კი. 3) დადგენილება შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა მიეცნენ სასამართლოს წინაშე პასუხის გებაში სამსახურში დანაშაულობის ჩადენისათვის; მოსამსახურე პასუხის გებაში უნდა მისცეს მისმა პირ-და-პირმა უფროსმა ან დამნაშავის უფროსმა მთავრობამ. მეIII-სა და მე-IV-ის კლასების მოსამსახურეთა პასუხის გებაში მიცემა მხოლოდ უმაღლესად ნება-დართული უნდა იყოს, ხოლო მე-V-დან მე-IX კლასამდე სენატის სამეურნეო დეპარტამენტისაგან გენერალ-გუბერნატორის თანხმობით. ამ დადგენილების ძალა იმ საქმეებსაც შეეხება, რომელიც ამ ჟამად წარმოებაშია, მაგრამ განაჩენები ჯერ კიდევ ძალაში არ შესულან. 4) დადგენილება შესახებ იმისა, რომ ფინლანდიის საიმპერატორო სენატის დაწესებულება ცოტაოდნად შეიცვალოს: ორივე დეპარტამენტთა კრება გენერალ-გუბერნატორმა უნდა მოიწვიოს; განსაკუთრებული საკრებულო უნდა შესდგეს სამეურნეო დეპარტამენტისაგან, რომელსაც განსაზღვრული საქმე დაევალება. სენატში თავმჯდომარედ უნდა იყოს გენერალ-გუბერნატორი ან ამისი თანაშემწე და, თუ ეს უკანასკნელი არ იქნება—დეპარტამენტების თავმჯდომარეთა ამხანაგები. გენერალ-გუბერნატორის მოვალეობად ჰხდება: ის საქმეები განსაზღვროს, რომელიც უთუოდ გენერალ-გუბერნატორის, თუ იმის თანაშემწის თავმჯდომარეობით უნდა გაირჩეს; მუშაობის უმთავრესი ხელ-მძღვანელობა, წევრთა განაწილება განყოფილებებში, სენატორების საინსპექციოთ გამგზავრება და სამსახურიდან დროებით დათხოვნა. აქამომდე რომ სენატში ქაღალდი მიიცემოდა მისის უდიდებულესობის სახელობაზე — ამას იქით მოისპო, ქაღალდები სენატის სახელობაზე უნდა დაიწეროს. საჩივარი და სათხოვარი უმაღლესს სახელობაზე დადგენილის წესით უნდა გაიგზავნოს. აუცილებლად უყურადღებოდ დაიტოვება, სხვათა შორის, ის ქაღალდები, რომელსაც მთელი გროვა მოიტანს, ან ადრესები და საჩივრები, სადაც გამოცხადებული იქმნება მთავრობის მოქმედების გაკიცხვა. სენატის პროკურორს რომ უფლება ჰქონდა, გენერალ-გუბერნატორისათვის შენიშვნა მიეცა და პირადად ხელმწიფესთანაც ეჩივლა მაზედ—ამას იქით მოისპო. ეს ახალი დადგენილებანი სენატის დაწესებულებათა შეცვლისა მხოლოდ 1903 წლის 1-ლ ოქტომბრიდან დაიწყებს მოქმედებას.

ბერლინი. სადამოჟნო-სატარიფო კომისიამ განიხილა სადამოჟნო კანონ-პროექტის პირველი მუხლი და ხელ-მეორედ დაადგინა საქონელზე უმცირესი ბაჟი დარჩეს.

19 სექტემბერი

პეტერბურგი. რადგან ზღვათა მინისტრი გენერალ-ადიუტანტი ტირტოვი დროებით პეტერბურგიდან წავიდა, მისი თანამდებობის ასრულება მიენდო ვიცე-ადმირალს აველანს.

სევასტოპოლი. ნაშუადღევის $2^{1}/_{2}$ საათზე მათი უდიდებულესობანი და დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე სასახლის მინისტრისა, ჯარების უფროსის გრაფ მუსინ-პუშკინისა, გენ.-ად. გესესა, კონტრ-ადმირალის როჟდესტვენსკისა, გრაფის ბენკენდორფისა, ფრეილინების ობოლენსკისა და ორბელიანისა, გრადონაჩალნიკისა და ამალის თანხლებით მივიდნენ ხერსონის მონასტრის ეკკლესიაში, სადაც მათ სამი ეპისკოპოსი მიეგება: ტავრიდისა — ნიკოლოზი, მონასტრის წინამძღვარი ინოკენტი და ანტონი. ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა სიტყვა მოახსენა და მიართვა ორი ხატი. მათი უდიდებულესობანი წმიდა ვლადიმერის ნაწილებს ემთხვიენ, მოისმინეს მცირე პარაკლისი და შემდეგ ტაძარი დაათვალიერეს. აქედან მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ არქეოლოგიურ ნაშთთა მუზეუმის დასათვალიერებლად.

$4^{1}/_{2}$ საათზე მათი უდიდებულესობანი ქალაქში დაბრუნდნენ.

ეკატერინოდარი. დღეს გაიხსნა მესამე სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. გამოფენილია დიდძალი ექსპონატი ვარშავიდან, რიგიდან, მოსკოვიდან და ურალიდან.

არიოლი. დღეს, ნაშუადღევის პირველ საათზე არიოლზე გაიარა დიდმა მთავარმა სერგი ალექსანდრეს ძემ და დიდმა მთავრინამ ელისაბედ თეოდორეს ასულმა, რომელნიც მოსკოვს მიდიან.

კალოფერი. დღეს პარადმა მშვენიერად ჩაიარა. დაესწრნენ დიდი მთავარი და თავადი ფერდინანდი. პარადის შემდეგ სადილზე ბოლგარიის მთავარმა ადღეგრძელა ხელმწიფე-იმპერატორი და მთელი სამეფო სახლი, ხოლო დიდმა მთავარმა,—ბოლგარიის მთავარი, მხედრობა და ერი. მინისტრმა პაპრიკოვმა ადღეგრძელა რუსეთის მხედრობა. 2 საათზე დიდი მთავარი ბურგასისკენ გაემგზავრა.

პეტერბურგი. ოთხშაბათს, 18 სექტემბერს, ნაშუადღევის $2^{1}/_{2}$ საათზე ბულგარიის სადიპლომატო სააგენტოს აფიცერმა სირმანოვმა ბულგარიის ერის სახელით ვერცხლის გვირგვინით შეამკო ღვთივ განსვენებულის დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის საფლავი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი. ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკეობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. 1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. [illegible] წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 წ. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 ს). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

წიგნების მაღაზია

გუტენბერგი

(ლორის მელიქოვის ქ. № 11)

იყიდება სახელმძღვანელოები და სხვა-და სხვა წიგნები.

ვინც ბევრ წიგნს იყიდის ერთბაშად, პროცენტები დაეთმობათ. (3—3)

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

მაღაზია

(სასახლის ქუჩიდან)

ტელეფონი № 741.

გადავიდა ერთ შენობაში ,,სევერნი ნომრების'' ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინის პროსპექტის ახლო), ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество фармацевтовъ, ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, фармацевтика. (0—19)

Дозв. ценз. Тифлисъ, 19 Сентября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).